ეკა ჩიკვაიძე, ნანა მრევლიშვილი

(შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

სინერგია და განღმრთობა წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში

სასულიერო მწერლობის გააზრებისთვის თეორიული საფუძველი, ცხადია, თავად სასულიერო მწერლობაში (ძირითადად, ბიბლიასა და ეგზეგეტიკაში) უნდა ვეძიოთ. შინაარსი და ამბავი, რომელიც აგიოგრაფიულ ნარატივშია გადმოცემული, ავტორისეული ჩანაფიქრია, რომლის მეშვეობითაც აგიოგრაფი წერს წმინდანის პორტრეტს, ხატს (ფაქტობრივად, ვერბალური მეშვეობით ქმნის იმავეს, რასაც ხატმწერი სრულიად სხვა საშუალებით, ხატს, εἰκών — «образ», «изображение»). განსხვავება კი ისაა, რომ ხატმწერი უკვე წმინდანის პორტრეტს წარმოაჩენს და იშვიათად მიმართავს ამ წმინდანის ცხოვრების საჩინო დეტალებს (და როცა მიმართავს, მხოლოდ ,,ძლევის“ ამსახველი პასაჟებით ინტერესდება), ხოლო აგიოგრაფი საფეხურებრივ ზეაღსვლას, გზას წარმოაჩენს, რომელიც თავიდანვე გაცხადებულმა წმინდანმა ,,მიწიდან ზეცამდე“ განვლო. გვაჩვენებს თითოეულის ღმერთშემოსვას, სრბის აღსრულებას, ღვაწლის მოღვაწეობას, რაც სინერგიის გარეშე შეუძლებელია.

სინერგია (Etym. ბერძ. syn „თან“ + érgon „ქმნილება“: „თანამოქმედება“) არის საერთო ძალისხმევის შედეგად წარმოქმნილი თანამშრომლობა. წმიდა მამათა ნაწერებში ეს ტერმინი გამოკვეთს იესო ქრისტეში სულიწმინდის მეშვეობით დამყარებული ადამიანისა და ღვთის კავშირის სიახლეს. კლარჯულ მრავალთავში ტერმინი ამგვარად განიმარტება: „უკუეთუ შეეზავნენ ნებანი ჩუენნი ნებასა მისსა (ღმრთისასა), ვსუფევდეთ მის თანა“ (კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ., 1991). ეს არის უფალთან თანამშრომლობით მიღწეული ჰარმონიული ურთიერთობა. აგიოგრაფიულ ტექსტებში საჩინოვდება, რომ სიწმინდით გამორჩეულ ადამიანებს ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განარჩევს სწორედ უფლის სმენის, ცხოვრების უფლის ნებელობას შეზავებული ნაბიჯებით გაგრძელების სწორედ ეს განსაკუთრებული მადლი და უნარი. მართლმადიდებლური სწავლება გულისხმობს, რომ ღმერთთან თანაქმედების დროს ადამიანის საქმე ღვთის მადლით

იმოსება. ამ პროცესში სამყაროს, კაცთა მოდგმისა და საკუთარი პიროვნების გადარჩენის მიზნით ადამიანი გააზრებულად და გამიზნულად შედის და ღმერთთან ერთად მოქმედებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ღვთის მადლისა და ადამიანის თავისუფალი ნების ჰარმონიული თანამშრომლობა, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, რათა განცხადდეს ყველასთვის და განხორციელდეს ,,...აღმშენებლობა საიდუმლოსი, უკუნისიდან დაფარულისა ღმერთში, რომელმაც შექმნა ყოველი ქრისტეს მეოხებით“ (ეფ. 3:9). ***განღმრთობა*** არის მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ადამიანის ღმერთთან შეკავშირების შესახებ, ეს არის ღვთის მადლით ადამიანის არაქმნილ - ღვთაებრივ ცხოვრებასთან ზიარება. მართლმადიდებელი მამები გვასწავლიან, რომ ქრისტიანული აღმსარებლობისა და ადამიანის ცხოვრების საბოლოო მიზანი სწორედ განღმრთობაა (ბერძ. - თეოზისი). ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვხედავთ სინერგიას, როგორც გზას, რომელსაც შედეგად განღმრთობა უნდა მოჰყვეს, ამიტომაც სრბის აღმსრულებელ და ღვაწლის კეთილად მომღვაწებელ წმინდა გრიგოლს და მის თანამოძმეებს გიორგი მერჩულე ღმერთშემოსილ მამებს უწოდებს. ტექსტზე დაკვირვება წარმოაჩენს ეპიზოდებს, სადაც იკვეთება როგორც სინერგია, ისე ღმერთშემოსვა წმინდა მამებისა. განსაკუთრებით საყურადღებო კი თხზულების დასაწყისია, სადაც სინერგია ცვლის წმინდა მამის თავდაპირველ გადაწყვეტილებას.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ წმინდა მამა გრიგოლის მოღვაწეობის საწყის პერიოდზე, დავუკვირდეთ მხატვრული ტექსტის იდეოლოგიურ კონტექსტს - როგორ ემზადება გრიგოლი იმ რთული გზისთვის, რომელიც ღვთის ნებით განეკუთვნა წმინდანს, როგორ მიდის უდაბნოში, სულიერი გზის რა კონტურები ესახება სამომავლოდ თავად წმინდანს და როგორ იწყებს მიზნების რეალიზებას.

სტრუქტურული თვალსაზრისით ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მთლიანობაში იმეორებს იმ სქემატურ პარადიგმას, რომელიც ცხოვრებათა ჟანრის აგიოგრაფიული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მის პირველსახედ, ისევე, როგორც წამებათა ჟანრის თხზულებათა არქეტიპად (მცირე სიუჟეტური ხასიათის ცვლილებებით –

მოწამეობრივი აღსასრული\ბუნებრივი გარდაცვალება), სახარებისეულ არქიტექტონიკას ვვარაუდობთ.

ვრცელი შესავალი ნაწილის შემდეგ ავტორი არ იშურებს რიტორიკულ სამკაულებს მთავარი პერსონაჟის მხატვრული სახის გამოსაკვეთად (მადლით სავსე, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღვდელი, კეთილად განმგებელი მოღვაწე, უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი, ქვეყანისა ანგელოზი, სანატრელი...) და იხსენებს იმთავითვე ღვთისთვის შეწირული, საღვთო მოღვაწეობისთვის განკუთვნებული გრიგოლის სიყრმეს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვათაგან (,,და **საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისისა,** ვითარცა სამოელ წინაჲსწარმეტყველი, და მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ **სიჩჩოჲთგანვე ღვინოჲ და ხორცი არა შეჴდა პირსა მისსა**, ვინაჲთგან **ქრისტესა განეკუთვნა სული თვისი სამკჳდრებელად. და ხატიცა მონაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თვისსა მას სადგურსა,** რომელსა განწესებულ იყო. ამისთჳსცა **დაყუდებულ უწოდიან მას სახელი**“ (ძეგლები 1964: 250).

ავტორისეული კონცეპტი, რომელზედაც დაფუძნებულია წმინდანის მხატვრული სახე, მისტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი და მოიცავს მთელ ქრონოლოგიურ სპექტრს – ჯერ კიდევ გრიგოლის დაბადებამდე (ანუ მუცლადყოფნის) პერიოდიდან გარდაცვალებამდე, ხოლო მისი ცხოვრების ყველა არსებითი მომენტი და ქმედება უფლის ნებით და პერსონაჟის მიერ ამ ნების რეალიზებით განისაზღვრება. ავტორი იმთავითვე წარმოაჩენს გრიგოლის მიზანს, იცხოვროს და იტვირთოს დაყუდებული ბერის ღვაწლი. განსაზღვრულია ამგვარი ღვაწლის წყურვილის მიზეზიც: ,,ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა. და რომელთაჲმე ესმოდა სახელი და რომელნიმე ფარულად იყვნეს“ (ძეგლები, 194:21). ამასთან, გრიგოლის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ თავისი სამომავლო

სულიერი მოსაგრეობა მყარ საყრდენს, ,,საღმრთო განბრძნობას“ (რომელიც გულისა და გონების სინთეზს გულისხმობს) დააფუძნოს: მისთვის შემეცნების პროცესი გააზრებული, ორგანიზებული პროცესია. თითქოს გრიგოლის ღვაწლის განვითარება ორი მიმართულებითაა საგულვებელი – 1. მღვდლობა > სასულიერო იერარქიის კიბე აღმავალი ვექტორით; 2. მღვდლობა > უდაბნო > ასკეტური მოღვაწეობა, რომელიც თავის მხრივ კიდევ ორ განშტოებად მოიაზრება: ა. ანაქორეტული (განდგომა, განდეგილობა მარტომყოფობაში); ბ. კენობიტური (κοινοβιος, ერთობლივი ცხოვრება, საერთო საცხოვრებელი; κοινός + βίος, საერთო + ცხოვრება; ქრისტიანული სამონასტრო კომუნა);

ავტორისეული იდეური მოდული – წმინდანის ნებისმიერი ქმედება ღვთის ნებით ხორციელდება, წმინდანი ღვთის კარნახით მოქმედებს, მისი ნებისმყოფელია – განმსაზღვრელია როგორც ცალკეული ეპიზოდისა, ისე - ძირეული ღერძისა. ეს მოდული დომინირებს გრიგოლის მღვდლად კურთხევის ეპიზოდშიც - გრიგოლის მღვდლობა ღვთის ნებაა (,,აწ შენ გპოვა ქრისტემან“) და, თავის მხრივ, რამდენიმე პლასტს მოიცავს: გრიგოლი უცოდველია (,,უბრალოჲ ხელითა“), წმინდა, შეურყვნელი გული აქვს (,,წმიდაჲ გულითა“); ღვთისმოშიში და მოყვარულია (,,ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა სიყვარულისაჲ გარდაემატა მის შორის“; ძეგლები, 1964:///); ბრძენია – არსით, ბუნებით შემეცნების უნარით დაჯილდოებული და განბრძნობილი – მცდელობით, სწავლით; ამ უკანასკნელ პლასტს ავტორი მოღვაწის ახალგაზრდობის (თავად გრიგოლის არგუმენტის, ყოყმანის საფუძვლის - ,,შიში დაეცა სიახლისათვის ჰასაკისა მისისა“ (ძეგლები, 1964:250) კონტრარგუმენტად იყენებს ფრაზას - ,,მხცოვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცისაჲ და ჰასაკ სიბერის - ცხოვრებაჲ უბიწოჲ... და შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულობაჲ გონებისაჲ“ (ძეგლები, 1964:250). ახლობლების ნების დაყოლას და წმინდანის მიერ მღვდლად კურთხევის გადაწყვეტილების მიღებასაც ავტორი ისევ ღვთის ნების აღსრულებად სახავს (,,ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა, რომელ შვენოდავე კრძალულებით საღმრთოჲთა კანონითა ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებლობასა“ (ძეგლები, 1964: 251).

მღვდლად ნაკურთხი გრიგოლი (იერარქიულად – მღვდელ-მონაზონი) გაცილებით დიდ მიზნებს უსახავს თავს, ვიდრე საეკლესიო იერარქიის ზედა ფენებში დამკვიდრება და მისთვის მიწიერ პატივთან გათანაბრებული ეპისკოპოსის (ანდა, სამომავლოდ – კათოლიკოსის) წოდების მიღებაა. პერსონაჟის ხედვა შორს სცილდება ამქვეყნიური დიდების დასაზღვრულ ჩარჩოებს, მას სასულიერო ღვაწლის უპირატეს ფორმად, როგორც მოგვიანებით გამოჩნდება, ანაქორეტული მოღვაწეობა ესახება, რამდენადაც ეს ფორმა მაცხოვრის უდაბნოში განმარტოების ერთგვარ ანალოგად მოიაზრებოდა ქრისტიანული კონფესიის მიმდევრებს შორის უძველესი პერიოდიდანვე. ღვთის სახელით შეკრებილი სულიერი ძმები (,,იყავნ ჩვენ შორის თავადი უფალი, რაჲთა სათნო ეყოს სულიერი ესე საგრობაჲ ჩვენი უცხოებასა შინა და რაჲთა შეწირულ იყოს მსახურებაჲ ჩვენი სათნოდ მის წინაშე. .. სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოჲ უძღოდა მათ, ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა და წყაროებრ დაუწყვედელსა ლოცვასა და ცრემლთა მათთა ნაკადულსა. და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად“ (ძეგლები, 1964:252). ღვთისავე წინამძღოლობით გაემართებიან სამოღვაწეო სივრცისაკენ. მნიშვნელოვანია თვით მერჩულისავე ახსნა: ძმებმა არ იციან, სად მიდიან, მაგრამ უმეცრები არ არიან, რადგან სულიწმინდა წინაუძღვის. თავისთავად საინტერესო დუბლეტური წყვილი უწყება/მეცნიერება სემანტიკურად დიფერენცირდება და უდაბნოში მსვლელობისას მამათა სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს. მეორე მხრივ, თავად ძმანი შენაწევრებულნი არიან, ვითარცა ერთი სული ოთხ სხეულში. ღვთის ნების ყოფასთან ადამიანური ნებელობის გამთლიანება, ერთსულოვნება და ერთობა უფალთან არის სწორედ სინერგია.

ღვთის ნება, რომელიც უწინამძღვრებს გრიგოლსა და მის თანამოაზრეებს უდაბნოსაკენ და რომლის გამოხატულებაცაა ბიბლიური აბრაჰამის არქეტიპული მოდელი (ზოგადად წინამძღვრის სიმბოლიზებული სახე იდეოლოგიური მიმართულების მაჩვენებელთან ერთად დრო-სივრცული მიმართულების მაჩვენებლადაც გვევლინება: დრო - განსვლის ჟამი, გარიდება კაცის ნებას - ეპისკოპოსობის პატივს, რაკიღა გრიგოლს სხვა ღვაწლისთვის ამზადებს უფალი, სივრცე

- სამოღვაწეო არეალი, სადაც ახალშობის მისტიკური საიდუმლო უნდა აღსრულდეს. ამგვარი სამოღვაწეო სივრცე, რომელსაც გრიგოლი სამ თანამოაზრესთან ერთად მიაშურებს, არის ტაო-კლარჯეთი, თავდაპირველად – იოანე ნათლისმცემლის სახელობის ოპიზის მონასტერი, რადგან, გიორგი მერჩულისავე შენიშვნით, იმ პერიოდის კლარჯეთში ის ერთადერთი მოქმედი მონასტერი ჩანს. ამდენად, გრიგოლი ღვაწლის პასიური ფაზიდან (მზადება სულიერი მოსაგრეობისათვის) ღვაწლის აქტიურ ფაზაში გადადის – უდაბნო, ოპიზის მონასტერი. თუმცაღა ოპიზა არ განიხილება საბოლოო სამოღვაწეო სივრცედ, ეს აქტიური ფაზის პირველი ეტაპია, ეტაპი მორჩილებისა, წინამძღვრის მეთვალყურეობის ქვეშ მოღვაწეობისა. ოპიზის მონასტრის მცირე საძმოსი და მონასტრის წინამძღოლის, ამბა გიორგის, გრიგოლისა და მისი თანამოაზრეებისადმი დამოკიდებულების ჩვენებით ავტორი ცდილობს გამოკვეთოს გრიგოლის ღვაწლის მნიშვნელობა. ახალმოსულთა სტატუსი მონასტრის ტიპიკონით გულისხმობს მოწაფის, სულიერი შვილის, მონასტრის წინამძღვრის დაქვემდებარებაში მყოფთა იერარქიას, მაგრამ, რადგანაც ამბა გიორგიმ **,,უწყოდა სულითა,** რამეთუ პატივი ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათდა“, იგი მონასტრის ტიპიკონის ფორმალურ მხარეზე უპირატესად **საღმრთო ცნობით** უწყებულს მიიჩნევს და ,,შეიწყნარნა იგინი სიხარულით არა ვითარცა მოწაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა“ (ძეგლები, 1964:253).

ნაწარმოებში ცხადად ჩანს, რომ პერიოდი, რომელსაც გრიგოლი ოპიზაში დაჰყოფს (ორი წელი), მისთვის სულიერი წრთობის, შემეცნების, საღმრთო განბრძნობის პრაქტიკულად რეალიზებისა და ღვაწლის შემდგომი გზების ძიების ეტაპია. უმნიშვნელოვანესია, რომ გარდა ფიცხელი სამონასტრო ღვაწლისა, გრიგოლი აკვირდება და სწავლობს ანაქორეტი ბერების ცხოვრების წესს.

როდესაც გრიგოლი სამოღვაწეოდ მიდის კლარჯეთში, უკვე ოთხ საუკუნეზე მეტია გასული პირველი სამონასტრო გაერთიანებების შექმნიდან, თუმცა ნაწარმოებიდან ცხადად ჩანს, ანაქორეტობა კვლავ ღვაწლის უპირატეს სახედაა მიჩნეული. მერჩულის ცნობით, ამბა გიორგი წინამძღოლობისას ოპიზის სამონასტრო კომპლექსში მცირე ეკლესიაა, მცირეა მონასტერში მოღვაწე ბერების რიცხვიც. თუმცა უდაბნოს სივრცეში

მრავლად არიან ანაქორეტი ბერები (მოღვაწეობის ამგვარი ფორმა აქვს არჩეული ხუედიოსსაც და სიცოცხლის ბოლომდე არ არღვევს აღთქმას), თითქოს ამგვარი ცხოვრებისთვის ემზადება მამა გრიგოლიც: `ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ...“ ანაქორეტობა, მიუხედავად თავისი არსით ინდივიდუალურ-სუბიექტური ფორმისა, არის არა სტიქიური, შემთხვევითი, არამედ - მკაცრად სტრუქტურირებული, ორგანიზებული სახე ასკეტიზმისა, დაფუძნებული განსაზღვრულ კანონიკაზე, იგი ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური ურთიერთობის ერთგვარი ფორმა, რამდენადაც სუბიექტის, ანაქორეტის ნებისმიერი ქმედება მნიშვნელობას იძენს კონკრეტულ ობიექტთან (ღმერთთან) მიმართებაში. როდესაც გრიგოლ ხანძთელი უდაბნოში ეძებს ანაქორეტ მოღვაწეებს და მათგან საგანგებოდ სწავლობს სათნოებათა იმ სახეებს, რომლებიც განსაზღვრავენ ანაქორეტი ბერების ცხოვრების წესს, იგი ცდილობს შეიმეცნოს ასკეტიზმის ის ფორმა, რომლიც თავისი სამომავლო მოღვაწეობის წესად ესახება (ძეგლები, 1964:253). თუმცა გრიგოლის ცხოვრება სხვაგვარად ვითარდება და ნაცვლად მოღვაწეობის ინდივიდუალიზებული ფორმისა, იგი ქმნის ინსტიტუციონალურ ერთობაზე დაფუძნებულ ქრისტიანულ სამონასტრო კომპლექსს - ხანძთის სავანეს, შემდეგ კი ხდება ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობების ორგანიზატორი და არქიმანდრიტი ,,ყოველთა კლარჯეთისა უდაბნოთა“. რა ხდება ღვაწლის ტიპოლოგიის ამგვარი ცვლის მიზეზი? ცხადია, სწორედ ღვთის ნების მიყოლა, ღვთის ნებისმყოფელობა, სინერგია. გრიგოლის ღვაწლის ტიპოლოგიის სახელდება ორმხრივი ჩვენების საფუძველზე ხდება. და ამ თვალსაზრისით გარდამტეხი მომენტი ბერ ხუედიოსთან შეხვედრაა. მნიშვნელოვანია, რომ ანაქორეტი, დაყუდებული, სიწმინდით რჩეული, ზეცისა ანგელოზად სახელდებული, ღვთივგანბრძნობილი ბერი ხუედიოსი, ღმერთშემოსილი მამაა, რომელიც სჭვრეტს უფალს და ამცნობს გრიგოლს მის ნებას. მან ,,ჩვენებაჲ იხილა არა თუ ძილსა შინა, არამედ ცხადად... და ესმა ჴმაჲ ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ: - აღეშენოს წმიდაჲ ეკლესიაჲ ადგილსა ამას ხელითა ***გრიგოლ მღდელისა,*** კაცისა ღმრთისაჲსა“ (ძეგლები, 1964:235). მეორე მხრივ, ღვთივგანბრძნობილია მამა გრიგოლიც, რომელიც ასევე საღმრთო ნების მიყოლით მიდის ხილვით უწყებულ ადგილზე (,,ეგრეთვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა

გრიგოლს ბერისა მის ღირსებაჲ და ადგილისა მის მიგებად მისა. მას ჟამსა წინამძღვრობითა სულისა წმიდისაჲთა მოიწია ხანძთად სათნოჲ ღმრთისაჲ მამაჲ ჩვენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა“; ძეგლები, 1964:253). მნიშვნელოვანია, რომ 1. ერთმანეთის არმცნობი გრიგოლი და ხუედიოსი შეიცნობენ ერთმანეთს და 2. ორივემ იცის, რა განგებულება უნდა აღსრულდეს მეორეზე. ამიტომ გრიგოლი და მისი მოძმენი არ განმრავლდებიან ხუედიოსის სიცოცხლეში და ამიტომვე გრიგოლი შეიცვლის ღვაწლის ტიპს და **ნაცვლად განდეგილობისა** ღვთისგან ხუედიოსის პირით უწყებულ **ბრძანებას მიჰყვება** და თანამოაზრეებთან ერთად **იწყებს კენობიტურ** მოღვაწეობას ხანძთის წმინდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსის დაარსებით, რაც ხდება საწინდარი უდაბნოთა ქალაქ-ქმნისა. იქმნება **,,მრავალთა პირმეტყველთა“ მოძღვარი**, რადგან ღვთისგან მიემადლა **,,კეთილი მოხუცებულობა გონებისა“.** გრიგოლის მისია დაყუდებული, მარტოდმყოფი ბერის ანგელოზებრივი ცხოვრება არ არის: **,,დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმითა კულა უხუცეს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტჱსთა და სულისა ჩემისა საუკუნოდ გვირგვინი და სასოჲ. ამისთვისცა არა თუ ხორცთა და სისხლთა მოგაწიეს უქმსა ამას უდაბნოსა ქვეყანით შენით, მამაო პატიოსანო, არამედ ძალი ძისა ღმრთისა მხოლოჲსაჲ და სიბრძნჱ სულისა წმიდისაჲ და მადლი ღმრთისა მამისაჲ გაქვს წინამძღვრად შენსა“** (იქვე). ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ, ხუედიოსი ,,ზეცისა ანგელოზია“ (ღმერთშემოსილი მამაა), ხოლო გრიგოლი ,,ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, ვფიქრობთ, გრიგოლის ღვაწლი შეფასებულია არა მხოლოდ ცხონების, არამედ სწორედ ,,პირმეტყველთა ცხოვართა“ წინაშე მისიის თვალსაზრისითაც.

აგიოგრაფი ავტორი პერსონაჟის ინდივიდუალურ ფსიქოტიპს ზოგადაგიოგრაფიულ მოდელს უქვემდებარებს – პერსონაჟის თვისებათა ერთობლიობისა და არსებობის წესის ჩვენებით გმირს აიდეალებს; გმირის ქმედება არ გაიგება, როგორც სპონტანურ და სუბიექტურ გადაწყვეტილებათა შედეგი – ის მკაცრად სტრუქტურირებული სქემის ლოგიკურად დასაზღვრული თანმიმდევრობით ხორციელდება და ეფუძნება უპირველესად ღვთის ნებას და შემდეგ - კაცის მცდელობას – ღვთის ნების მიყოლას, რეალიზებას; ყველა საეტაპო და მნიშვნელოვანი

გადაწყვეტილება პერსონაჟისა ხორციელდება მისტიკური მინიშნებით, უწყებით, ჩვენებით – ანუ ავტორი გამოკვეთს ღმერთისა და კაცის (წმინდანის) ერთობას; გამორჩეული პოტენციალის პერსონაჟის სამოქმედო სივრცე ვრცელია, მოღვაწეობის ასპექტი – მრავალპლანიანი. ამგვარი მოღვაწე ვერ შემოიზღუდება მარტომყოფობაში განდეგილობით, რაკიღა სხვა ღვაწლისთვის გამოურჩევია იგი უფალს. თუკი აგიოგრაფიულ ტექსტებს დავაკვირდები, ყველაზე თვალსაჩინოდ წმინდანს სხვათაგან უფლის ნების ყოფის უნარი, სინერგია განარჩევს, რაც ღმერთშემოსვის წინაპირობაა. შესაბამისად, თხზულებაში არაერთგზის ვხედავთ წმინდა მამათა ამ სულიერი მდგომარეობის ლექსიკურ ასახვას: „რჩეულნო ქრისტჱსნო, სამკვიდრებელნო სიწმიდისანო“; ,,ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ, მამაჲ გრიგოლ, ნებისა ქრისტესისა სამკვიდრებელი“; ,,სასწაულთა მოქმედი დიდებული“, გრიგოლის ღვაწლის შეფასებად გამოდგება მიმართვა: ,,წმიდაო ღმრთისაო, **ბრძანებათა მათებრ ქრისტჱსთა ნეტარებისა საქმეთა მათ სამკვიდრებელო ...** განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ! წმიდაო გულითა და სულითა შენითა, ყოვლადვე **ღმრთისმხილველო, წმიდათა ანგელოზთასა მიწევნულო შვილ ღმრთისა წოდებითა,** ყვედრებულთათვის ქრისტეჲსთვის ნავთსადგურო...“ (ძეგლები, 264); ცხადია, მისი სრბა საწინდარია იმისა, რომ წმინდა გრიგოლი იქნება ,,მზრუნველი ცხორებისათვის ჩვენისა სამარადისოსა მას ცხორებასა!“ სწორედ ეს არის ავტორის მიზანიც: ღმერთშემოსილ მამათა ცხოვრების გზის, ღვთისთვის დაქვემდებარებული ნებელობის, სინერგიის წარმოჩენა, რომელიც არის გზა ყველაზე დიდი მიზნის, ნაყოფიერი შედეგის, თეოზისისკენ.

Eka Chikvaidze, Nana Mrevlishvili (Shota Rustaveli Institute of Georgian Literature)

Synergy and divinity in St. Grigol Khandzteli's life

Synergy (Etymology Greek: syn "with" + érgon "creation": "co-operation"): Co-operation resulting from common efforts. In the writings of the Holy Fathers, this term reveals the proximity of the union of man and God through the Holy Spirit in Jesus Christ. The term in the Klarjian Miscellany is thus used: "If we meet the will of his will (of God), I shall keep on with

him". This is the relationship that has been achieved in co-operation with the Lord. This special grace and ability to hear God and continue life with the steps of the Lord's will is what distinguishes saint people from the ordinary mortals. The Orthodox teaching implies that during the synergy with God the work becomes blessed. In this process, people are intimately and intentionally intended to save the world, the human race, and their own personality and act with God. In other words, it is the harmonious co-operation of God's grace and human's free will, as Paul the Apostle appoints to be declared to everyone and to be made "... the reconstruction of the secret, since eternity hidden in God, the one who created all things by the hands of Christ" (Eph 3: 9).

დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა:

1. ლორთქიფანიძე 2006: ლორთქიფანიძე, მ. ,,თხზულების ისტორიული ფონი", კრებული: წმიდა გრიგოლ ხანძთელი, თბილისი, ,,არტანუჯი", 2006;
2. მაჭავარიანი 2003: მაჭავარიანი, მ. დამოკიდებულება კლასიკური და ბიზანტიური რიტორიკული ხელოვნებისა და განათლებისადმი დავით ტბელის თარგმანებში, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003;
3. მელიქიშვილი 2007: მელიქიშვილი, დ. გელათი 900, თბილისი, 2007;
4. მელიქიშვილი 1999: მელიქიშვილი, დ. იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის ,,ღვთისმეტყველების საფუძვლებისა," თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999;
5. მენაბდე 2006: მენაბდე, ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, კრებული: წმიდა გრიგოლ ხანძთელი, თბილისი, 2006;
6. მრევლიშვილი 2001: მრევლიშვილი, ნ. გრიგოლ ნოსელის გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების ქართული რედაქციები, თბ., ,,ქართველოლოგი", 2001;
7. სულავა 2004: სულავა, ნ. ლიტერატურული ძიებანი, ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის, XXV, თბილისი, 2004;

8. ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X), თბილისი, 1964.